

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

This policy brief is also available in English.

## საზოგადოების მონაწილეობა ენერჯეტიკის პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას

### შესავალი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველოში, პრაქტიკულად, ყველა სფეროში, სადაც კი არსებობდა განვითარების პროექტებზე კომპეტენტურ ორგანოთა მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები, ეს შესაძლებლობები საერთოდ გაუქმდა, ან იმგვარად გარდაიქმნა, რომ საზოგადოების ეფექტური მონაწილეობა შეუძლებელი გახდა და უკიდურეს ფორმალობამდე იქნა დაყვანილი. ასეთ სფეროთა რიცხვს მიეკუთვნება ენერჯეტიკაც.

ენერჯეტიკის პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, ბოლო ათწლეულში, საზოგადოების მონაწილეობის, უფრო კონკრეტულად კი, პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ინფორმირებისა და მათი მონაწილეობის გარეშე ხდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, იწვევდა უკმაყოფილებას და ხშირად, ხელისუფლებას, პროექტების განმახორციელებელ კომპანიებსა და ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას შორის კონფლიქტის წყაროც გამხდარა; იყო შემთხვევები, როდესაც უკმაყოფილების გასანიჭრალეზად და მოსახლეობის დასაშოშმინებლად, ხელისუფლებამ პოლიციის ძალებიც კი გამოიყენა (მაგალითად, აჭარასა და სვანეთში).

2017 წლის 1 ივნისს მიღებული იქნა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი. კოდექსი ახლებურად არეგულირებს დაგეგმილი პროექტების (საქმიანობების) გარემოზე შესაძლო ზეგავლენის შეფასების საკითხებს და უფლებამოსილი ორგანოს (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს) მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (საქმიანობის უფლების მიმნიჭებელი ერთ-ერთი სანებართვო დოკუმენტის) გაცემის წესს. კოდექსი, ასევე, ადგენს სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის ვალდებულებებს.

აღნიშნული, იმის გათვალისწინებით, რომ კოდექსის მიღებამდე, საზოგადოება მოკლებული იყო შესაძლებლობას, მონაწილეობა მიეღო უფლებამოსილი გარემოსდაცვითი სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რა თქმა უნდა, ძალზე მისასალმებელია. თუმცა, ამავედროულად, მნიშვნელოვანია, აქვე აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი

ეხება [გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე] დაგეგმილი პროექტების მხოლოდ და მხოლოდ გარემოზე ზეგავლენის შეფასების საკითხებს და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ამ საკითხების განხილვისას, საზოგადოების მონაწილეობას. კოდექსი არ ეხება სექტორული (ენერგეტიკის სფეროზე პასუხისმგებელი) უწყების მიერ ენერგეტიკის პროექტების შესახებ გადანაცვტილებების მიღების საკითხებს.

ამ საჯარო პოლიტიკის ნარკვევში განხილულია, შეცვალა, თუ არა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღებამ ხელისუფლების ორგანოთა მიერ ენერგეტიკის, კერძოდ, ელექტროსადგურების მშენებლობის პროექტების შესახებ გადანაცვტილებების მიღების წესები; კერძოდ, შეცვალა, თუ არა კოდექსმა და როგორ გადანაცვტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები.

მომდევნო თავში, განხილულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით შემოტანილი სიახლეები გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე პროექტების (მათ შორის, ენერგეტიკის პროექტების) შესახებ გადანაცვტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის სფეროში. შემდგომ თავში კი, აღწერილია ენერგეტიკის დარგზე პასუხისმგებელი უწყების მიერ ენერგეტიკის პროექტების შესახებ გადანაცვტილებების მიღების პროცედურები, რათა დადგინდეს, ქმნიან, თუ არა ისინი საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობებს. ბოლო თავში შეჯამებულია მიგნებები და მოცემულია რეკომენდაციები.

## 1. საზოგადოების მონაწილეობა გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე პროექტების შესახებ გადანაცვტილებების მიღებისას

როგორც შესავალში აღინიშნა, 2017 წლის 1 ივნისს მიღებულ იქნა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი. ყურადსაღებია, რომ კოდექსს შემოიტანა გარემოსდაცვითი შეფასების და შესაბამისად, გადანაცვტილებების მიღების ხუთი ინსტრუმენტი; ეს ინსტრუმენტები, კოდექსის თანახმად, ეტაპობრივად უნდა ამოქმედდეს. ქვემოთ მოყვანილ პირველ ცხრილში ნაჩვენებია კოდექსით შემოტანილი გარემოსდაცვითი შეფასებისა და გადანაცვტილებების მიღების ინსტრუმენტები, ასევე, მათი ამოქმედების ვადები.

ცხრილი 1. გარემოსდაცვითი შეფასებისა და გადანაცვტილებების მიღების ინსტრუმენტები საქართველოში.

#	გარემოსდაცვითი შეფასების სახე	გადაწყვეტილების სახე	ამოქმედების თარიღი
1	გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზმ) - გზმ უტარდება კოდექსით განსაზღვრულ დაგეგმილ საქმიანობებს.	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება	ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვარს.
2	გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასება (გტზმ) - გტზმ უტარდება კოდექსით განსაზღვრულ დაგეგმილ საქმიანობებს.	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება	ამოქმედდება „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ კონვენციისა და მისი „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ“ ოქმის საქართველოსთვის ძალაში შესვლისთანავე.
3	სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) - სგშ უტარდება კოდექსით განსაზღვრულ სტრატეგიულ დოკუმენტებს	რეკომენდაციები	კოდექსით დადგენილი ნორმების ნაწილი ამოქმედდება 2018 წლის 1 ივლისიდან, ნაწილი კი - 2018 წლის 31 დეკემბრიდან.
4	სტრატეგიული დოკუმენტის გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასება - უტარდება კოდექსით განსაზღვრულ სტრატეგიულ დოკუმენტებს.	რეკომენდაციები	ამოქმედდება „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ კონვენციისა და მისი „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ“ ოქმის საქართველოსთვის ძალაში შესვლისთანავე.

5	ეკოლოგიური აუდიტი - უტარდება კოდექსის 47-ე (გარდამავალი) მუხლით დადგენილ ე.წ. „მიმდინარე საქმიანობებს“.	მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება	ამოქმედდა 2017 წლის 21 ივნისს (კოდექსის გამოქვეყნებისთანავე).
---	---	--	---

როგორც ცხრილიდან ჩანს, გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა (გზმ) და მათ შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურები 2018 წლის 1 იანვრიდან უკვე ძალაშია და ამ ნარკვევის საგანიც სწორედ ეს ინსტრუმენტია.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გზმ-ს დაქვემდებარებულ საქმიანობებზე სამ ეტაპად (სკრინინგი, სკოპინგი და საბოლოო გადაწყვეტილება) გაიცემა; ყოველ ეტაპზე გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესის გამოყენებით მიიღება. ეს, კი, ნიშნავს, რომ სამივე ეტაპზე:

- (ა) გადაწყვეტილებების მიღებამდე, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციფიური ინფორმაცია;
- (ბ) საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წარადგინოს თავისი მოსაზრებები; და
- (გ) საბოლოოდ, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილებები.

ქვემოთ მოყვანილი მე-2 ცხრილი თანმიმდევრულად აღწერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების (ან უფრო ფართოდ - გზმ სისტემის) ეტაპებს<sup>1</sup>.

**ცხრილი 2. გზმ სისტემის ეტაპები საქართველოში.**

<b>სკრინინგი</b>	სკრინინგი პროცედურაა, რომელიც განსაზღვრავს გზმ-ის ჩატარების საჭიროებას (ეჭვმდებარეა, თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზმ-ს). კოდექსის პირველ დანართში ჩამოთვლილ საქმიანობებს უნდა ჩაუტარდეთ გზმ; კოდექსის მეორე დანართში ჩამოთვლილი საქმიანობების შემთხვევაში კი, გზმ-ს ჩატარების საჭიროებაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (სკრინინგის გადაწყვეტილება).
<b>სკოპინგი</b>	სკოპინგი პროცედურაა, რომელიც განსაზღვრავს გზმ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზმ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებებს. საქმიანობის ინიციატორი სკოპინგის ანგარიშს განსახილველად წარადგენს სამინისტროში, ხოლო სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას - გასცემს სკოპინგის დასკვნას.
<b>გზმ კვლევა და ანგარიში</b>	ამ ეტაპზე საქმიანობის ინიციატორი ატარებს დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზეგავლენის კვლევას და კვლევის შედეგებს ასახავს ანგარიშში - გზმ ანგარიშში.
<b>გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება</b>	საქმიანობის ინიციატორის მიერ გზმ ანგარიშის სამინისტროში განსახილველად წარდგენის შემდეგ, სამინისტრო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას - გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელების სავალდებულო წინაპირობაა; ანუ, საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე - უკანონოა.

<sup>1</sup> ცხრილში მოცემულია გზმ სისტემის გამარტივებულ სქემა, რომელიც სრულად არ ასახავს თითოეულ ეტაპზე წარსადგენი ან გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სახეს და არც პროცედურებს აღწერს დეტალურად. უფრო მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ [გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი](#).

**მონიტორინგი და კონტროლი**

საქმიანობის განხორციელების დაწყების შემდგომ, საქმიანობის ინიციატორი ვალდებულია ანარმოს თავისი საქმიანობის მონიტორინგი („საქმიანობის შემდგომი ანალიზი“) ხოლო სამინისტრომ - გააკონტროლოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნების შესრულება.

როგორც ზემოთ მოყვანილ ცხრილშია აღნიშნული, პირველ - სკრინინგის ეტაპზე, უნდა დადგინდეს საჭიროებს, თუ არა დაგეგმილი პროექტი გზმ-ს ჩატარებას. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პირველ დანართში ჩამოთვლილ საქმიანობებს, უპირობოდ, უნდა ჩაუტარდეთ გზმ (გზმ სავალდებულოა). ელექტროენერჯის წარმოებისა და გადაცემის პროექტიდან კოდექსის პირველ დანართში მოქცეულია შემდეგი სახის პროექტები (საქმიანობები):

- 10 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის ან/და წვის სხვა დანადგარის მშენებლობა და ექსპლუატაცია;
- ატომური ელექტროსადგურის ან სხვა ბირთვული რეაქტორის განთავსება, მისი დემონტაჟისა და დეკომისიის ჩათვლით, გარდა იმ კვლევითი დანადგარისა, რომელიც გამოიყენება დაშლადი მასალების, ბირთვული საწვავის წარმოებისა და გარდაქმნისათვის, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე 1 კილოვატ უწყვეტ სითბურ დატვირთვას არ აღემატება;
- წყლის მდინარის აუზებს შორის გადაგდება, როდესაც იმ მდინარის საშუალო მრავალწლიური ჩამონადენი, რომლიდანაც წყალი გადანაწილდება, წელიწადში 2 000 მილიონ კუბ. მ-ზე მეტია და გადატანილი წყლის ხარჯი მდინარის მრავალწლიური მინიმალური ხარჯის 5%-ს აღემატება;
- კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 კუბ.მ-ზე მეტია;
- 5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია.
- 220 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, რომლის სიგრძე 15 კილომეტრზე მეტია.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მეორე დანართში ჩამოთვლილია ის პროექტები, რომელთაც გზმ ჩაუტარდება იმ შემთხვევაში, თუ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ასე გადაწყვეტს. ენერჯის წარმოებასა და გადაცემასთან დაკავშირებული საქმიანობებიდან, კოდექსის მეორე დანართში მოქცეულია:

- წვის დანადგარი 2 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ელექტროენერჯის წარმოებისათვის;
- საწარმოო დანადგარი ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოებისათვის (გარდა ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული ორთქლისა და ცხელი წყლის დანადგარისა), როდესაც განაშენიანების ფართობი 0.5 ჰექტარზე მეტია, ხოლო მათი გამომუშავება 50 მეგავატს აღემატება;
- 5 კილომეტრი ან მეტი სიგრძის მილსადენის განთავსება გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის გატარებისათვის;
- 35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება;
- 100 კუბ.მ ან მეტი მოცულობის წიაღისეული საწვავის, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია;
- ნახშირის ან/და ლიგნიტის ბრიკეტირება;
- რადიოაქტიური ნარჩენების დამუშავება ან/და შენახვა;
- 2 მეგავატიდან 5 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია;

- დანადგარი ქარის ან/და ზღვის ტალღების ენერჯის მეშვეობით ელექტროენერჯის წარმოებისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სკრინინგის, სკოპინგისა და საბოლოო - გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემის ეტაპებზე, გადანყვეტილებები საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით მიიღება. ყურადსაღებია ასევე, რომ გადანყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის გარდა, გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემის შემდეგ (მას შემდეგ, რაც დაიწყება ნებადართული საქმიანობის განხორციელება), გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევალება გარკვეული ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებაც.

ქვემოთ მოცემულ მე-3 ცხრილში აღწერილია, რა მოთხოვნებს აყალიბებს კოდექსი სკრინინგის, სკოპინგისა და გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემის ეტაპებზე საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ცხრილის ბოლო რიგში კი, ნაჩვენებია, რა სახის ინფორმაცია უნდა იყოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემის და საქმიანობის განხორციელების დაწყების შემდეგ.

როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ - სკრინინგის ეტაპზე - გავრცელებულ ინფორმაციაზე საზოგადოების უკუკავშირის უზრუნველსაყოფად, გათვალისწინებულია მოსაზრებების მხოლოდ წერილობით წარდგენის შესაძლებლობა (საჯარო განხილვა ამ ეტაპზე არ ტარდება). რაც შეეხება მეორე და მესამე (სკოპინგისა და გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემის) ეტაპებს, საზოგადოებას აქვს მოსაზრებების როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად, საჯარო განხილვაზე წარდგენის შესაძლებლობა.

**ცხრილი 3. საზოგადოების ინფორმირება და მონაწილეობა გზმ სისტემის ეტაპებზე საქართველოში.**

<p>სკრინინგის გადანყვეტილება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში სამინისტრო ვალდებულია გამოაქვეყნოს ის, კოდექსით დადგენილი წესით.</li> <li>• საზოგადოებას აქვს 7 დღე სამინისტროსთვის მოსაზრებებისა და შენიშვნების წარსადგენად.</li> <li>• სამინისტრო ვალდებულია, განიხილოს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში მიიღოს საზოგადოების მიერ წარდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები სკრინინგის გადანყვეტილების მიღებისას.</li> <li>• სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან 5 დღის ვადაში, სამინისტრო ვალდებულია, კოდექსით დადგენილი წესით, გამოაქვეყნოს დასაბუთებული სკრინინგის გადანყვეტილება.</li> </ul>
<p>სკოპინგის გადანყვეტილება (დასკვნა)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სკოპინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში სამინისტრო ვალდებულია გამოაქვეყნოს ის (და თანდართული დოკუმენტები), კოდექსით დადგენილი წესით.</li> <li>• საზოგადოებას აქვს 15 დღე სამინისტროსთვის მოსაზრებებისა და შენიშვნების წარსადგენად.</li> <li>• სკოპინგის განცხადების განთავსებიდან არაუადრეს მე-10 დღისა და არაუგვიანეს მე-15 დღისა, სამინისტრო ვალდებულია, ჩაატაროს სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა.</li> <li>• საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.</li> <li>• სამინისტრო ვალდებულია, განიხილოს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში მიიღოს საზოგადოების მიერ წარდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები სკოპინგის გადანყვეტილების მიღებისას.</li> <li>• სკოპინგის პროცედურის დასრულებიდან 5 დღის ვადაში, სამინისტრო ვალდებულია, კოდექსით დადგენილი წესით, გამოაქვეყნოს სკოპინგის ანგარიში და სკოპინგის დასკვნა.</li> </ul>

<p>გარემოსდაცვითი გადანაცვითი ღონისძიებები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში სამინისტრო ვალდებულია, გამოაქვეყნოს ის (და თანდართული დოკუმენტები, მათ შორის, გზმ ანგარიში), კოდექსით დადგენილი წესით.</li> <li>• საზოგადოებას აქვს 40 დღე სამინისტროსთვის მოსაზრებებისა და შენიშვნების წარსადგენად.</li> <li>• განცხადების განთავსებიდან არაუადრეს 25-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა, სამინისტრო ვალდებულია, ჩაატაროს გზმ ანგარიშის საჯარო განხილვა. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა.</li> <li>• საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.</li> <li>• სამინისტრო ვალდებულია, განიხილოს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში მიიღოს საზოგადოების მიერ წარდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები გადანაცვითი ღონისძიების მიღებისას.</li> <li>• სამინისტრო ვალდებულია, გადანაცვითი ღონისძიებაში ასახოს ინფორმაცია საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების განხორციელების და წარდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინების შესახებ.</li> <li>• გარემოსდაცვითი გადანაცვითი ღონისძიების გაცემიდან 5 დღის ვადაში სამინისტრო ვალდებულია, კოდექსით დადგენილი წესით, გამოაქვეყნოს: გზმ ანგარიში, ექსპერტიზის დასკვნა, გარემოსდაცვითი გადანაცვითი ღონისძიება და ინფორმაცია საზოგადოების მონაწილეობის შედეგების შესახებ.</li> </ul>
<p>მონიტ. &amp; კონტროლი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამინისტრო ვალდებულია, თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს საქმიანობის განმარტებითი დოკუმენტის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგები, ამ ინფორმაციის მიღებიდან 3 დღის ვადაში.</li> </ul>

გადანაცვითი ღონისძიების მიღების შემოღწერილი სამეტაპიანი წესის შემოღებამდე, ბოლო ათი წლის განმავლობაში, ამ სფეროში გადანაცვითი ღონისძიებები მიიღებოდა ერთ ეტაპად და თანაც, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით (ეს წესი შეუქმნელს ხდის გადანაცვითი ღონისძიების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას). ამდენად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით შემოტანილი ეს სიახლე უმნიშვნელოვანეს დადებით ცვლილებად უნდა იქნეს განხილული, რომ არა ერთი გარემოება. კერძოდ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი უშვებს საქმიანობის განმარტებითი დოკუმენტის გაცემული გარემოსდაცვითი გადანაცვითი ღონისძიების (ასევე, სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპების გადანაცვითი ღონისძიების) ცვლილების შესაძლებლობას, სამინისტროს ან საქმიანობის განმარტებითი დოკუმენტის ინიციატივით; უკვე მიღებულ გადანაცვითი ღონისძიებებში ცვლილების შეტანის შესახებ გადანაცვითი ღონისძიება კი, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით უნდა იქნეს მიღებული. კოდექსი განსაზღვრავს გარემოსდაცვითი გადანაცვითი ღონისძიების ცვლილების ინიცირების წინაპირობებსა და პროცედურებს, და არაფერს ამბობს ცვლილების შეტანის შესახებ გადანაცვითი ღონისძიების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ.

ამგვარად, მიღებულ გადანაცვითი ღონისძიებებში საზოგადოების მონაწილეობის გარეშე ცვლილების შეტანის შესაძლებლობის დაშვება, მთლიანად აუფასურებს გადანაცვითი ღონისძიების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის სფეროში კოდექსით შემოტანილი პროგრესული მიდგომის მნიშვნელოვნებას.

## 2. საზოგადოების მონაწილეობა ენერჯეტიკის დარგზე პასუხისმგებელი უწყების მიერ ენერჯეტიკის პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას

2017 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ სერიოზული სტრუქტურული ცვლილებები განიცადა; სამინისტროების ნაწილი გაუქმდა, ნაწილმა კი, გაუქმებული სამინისტროების ფუნქციები შეითავსა<sup>2</sup>. რეფორმის პროცესი შეეხო ენერჯეტიკის სამინისტროსაც; ის გაუქმდა, ხოლო მისი ფუნქციები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეითავსა. ამდენად, დღეს ამ უკანასკნელის საქმიანობის სფეროში შედის<sup>3</sup>:

- ენერჯეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი;
- ენერჯეტიკაში ინვესტიციების მოზიდვა;
- ქვეყნის ენერჯეტიკული დამოუკიდებლობის, ენერგო-სისტემის უსაფრთხოების, მისი ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის ღონისძიებების განხორციელება;
- ენერგო-სექტორის ეფექტურობის ასამაღლებლად ღონისძიებების გატარება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის ზემოაღნიშნული ფუნქციების დამატებასთან ერთად, საჭირო გახდა თავად სამინისტროს სტრუქტურაში ამ სფეროზე პასუხისმგებელი ერთეულის გამოყოფაც. ამდენად, სამინისტროს შიდა სტრუქტურაში გაჩნდა ენერჯეტიკის დარგზე პასუხისმგებელი ორი დამატებითი დანაყოფი, რომელთაც მინისტრის ორი სხვადასხვა მოადგილე კურირებს<sup>4</sup>; ესენია:

- ენერჯეტიკული პოლიტიკის დეპარტამენტი, და
- ენერჯეტიკული რეფორმებისა და პროექტების დეპარტამენტი.

ამ ორი დეპარტამენტის ზოგადი ფუნქციები დადგენილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულებით, უფრო კონკრეტულად კი, თავად დეპარტამენტების დებულებებით უნდა იყოს განსაზღვრული<sup>5</sup>. ამ საჯარო პოლიტიკის ნარკვევის მიზნებისთვის, დეპარტამენტების ყველა ფუნქციის განხილვა საჭირო არა არის, ამდენად, ქვემოთ, ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ენერგო-პროექტების (მათ შორის, ელექტროსადგურების პროექტების) განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და ამ პროცესში ზემოაღნიშნული დეპარტამენტების როლზე.

სამინისტროს დებულების თანახმად, ენერჯეტიკული პოლიტიკის დეპარტამენტის ფუნქციებს შორისაა:

- „ენერჯეტიკული ობიექტების საპროექტო, სამშენებლო-სამონტაჟო, სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო საქმიანობის დოკუმენტების განხილვა, განხორციელების უზრუნველყოფა და მონიტორინგი;

<sup>2</sup> იხ. საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

<sup>3</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის #70 დადგენილება „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“

<sup>4</sup> ენერჯეტიკული პოლიტიკის დეპარტამენტს კურირებს მინისტრის მოადგილე რომეო მიქაუტაძე, ხოლო ენერჯეტიკული რეფორმებისა და პროექტების დეპარტამენტს - მინისტრის მოადგილე გიორგი ჩიქოვანი

<sup>5</sup> დეპარტამენტების დებულებები არაა ხელმისაწვდომი „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე. სამინისტროს ვებ-გვერდზე მოცემულია ამ დეპარტამენტების ფუნქციების ჩამონათვალი, რომელიც სიტყვა-სიტყვით იმეორებს სამინისტროს დებულებაში მოყვანილ ფორმულირებებს. ენერჯეტიკული პოლიტიკის დეპარტამენტის ფუნქციებისთვის, იხ: <http://bit.ly/2ufBe51>, ენერჯეტიკული რეფორმებისა და პროექტების დეპარტამენტის ფუნქციებისთვის, იხ: <http://bit.ly/2uj56gk>

- კომპეტენციის ფარგლებში, დადებული შეთანხმებების მონიტორინგი და მათი განხორციელების ხელშეწყობა.“

ამავე სამინისტროს ენერგეტიკული რეფორმებისა და პროექტების დეპარტამენტის ფუნქციებში შედის:

- „ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა და ამ მიმართულებით სხვადასხვა ორგანიზაციასთან სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია;
- მიმდინარე და დაგეგმილ საინვესტიციო პროექტებში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მონაწილეობისა და ინვესტორებთან ურთიერთობების კოორდინაცია, მოლაპარაკების წარმოებაში მონაწილეობა და მათთან სამართლებრივი თანამშრომლობა იურიდიული დეპარტამენტის ჩართულობით;
- მიმზიდველი საინვესტიციო წინადადებების შემუშავება და ინვესტორებისათვის წარდგენა;
- საინვესტიციო წინადადებების შესახებ მიღებული ინფორმაციისა და წარდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- იურიდიული დეპარტამენტის ჩართულობით საინვესტიციო ხელშეკრულებების პროექტების მომზადება, მოლაპარაკებაში მონაწილეობა, ხელშეკრულების ხელმოწერისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოქმედებათა შესრულება და კოორდინაცია;
- საინვესტიციო პროექტებისა და დადებული საინვესტიციო ხელშეკრულებების მონიტორინგი, მათი განხორციელების ხელშეწყობა.“.

გემოაღნიშნულიდან ბოლომდე ნათელი არ არის ამ დეპარტამენტების როლი ენერგეტიკის პროექტების, მათ შორის, ელექტროსადგურების მშენებლობის პროექტების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში; თუმცა, მაინც შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეს ორივე დეპარტამენტი ჩართულია ელექტროსადგურების პროექტების ინიცირებაში, შემუშავებაში, განხორციელებაში, პროექტებში ინვესტიციების მოზიდვაში, ინვესტორებთან შეთანხმებების დადებაში, ამ შეთანხმებებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაში (შესრულების „ხელშეწყობაში“) და შესრულების მდგომარეობის მონიტორინგში.

გემოთ აღწერილი ფუნქციების შესასრულებლად გადაწყვეტილებების მიღების კონკრეტული პროცედურები სამინისტროს დებულებაში, რა თქმა უნდა, არ არის აღწერილი (და ვერც იქნება აღწერილი), მაგრამ არც სხვა რაიმე აქტი არსებობს, რომელიც ამ პროცედურებს დაადგენდა. კონკრეტულად, ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს აღწერს ორი აქტი; ესენია:

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს #214 დადგენილება „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“<sup>6</sup> (შემდგომში - მთავრობის დადგენილება); და
- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის #40 ბრძანება „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ არის შეტანილი საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხაში“ (შემდგომში - ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება). ამ ბრძანებით,

<sup>6</sup> აუცილებელია, აღინიშნოს, რომ არსებობს 2008 წელს მიღებული კიდევ ერთი აქტი, რომელიც ამავე საკითხებს ეხება და რომელიც ჩანაცვლდა გემოაღნიშნული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს #214 დადგენილებით. ეს აქტია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის #107 დადგენილება „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერჯიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“. ეს აქტი კვლავ ძალაშია, მაგრამ მისი პრაქტიკულად ყველა მუხლი ძალადაკარგულია, გარდა სულ რამდენიმე პუნქტისა, რომელიც საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს #214 დადგენილების მიღებამდე დადებულ მემორანდუმებს ეხება (ეხება გარანტიებს და გამომუშავებული ენერჯიის გაყიდვის საკითხებს).



დამტკიცებულია ორი წესი: ერთი - ჰიდროელექტროსადგურებისთვის და მეორე - ქარის ელექტროსადგურებისთვის.

სწორედ, ამ აქტებით დადგენილი პროცედურებია ქვემოთ განხილული, რათა საბოლოო ჯამში, დადგინდეს, აქვს, თუ არა საზოგადოებას შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა ელექტროსადგურების პროექტების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.


ქვემოთ მოყვანილი სქემა ასახავს გადაწყვეტილების მიღების პროცედურულ ჯაჭვს (იხ. სქემა #1). როგორც სქემიდან ჩანს, ელექტროსადგურების პროექტების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ორგვარი წესი არსებობს: პირველი წესი (მარცხენა სვეტი) ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც სახელმწიფო თავად სთავაზობს ინვესტორს პოტენციური ელექტროსადგურის პროექტს, მის მიერ დადგენილი სავარაუდო ტექნიკური მახასიათებლებით; მეორე წესი (მარჯვენა სვეტი) კი, ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ინვესტორი თავად წყვეტს სასურველი პროექტის ყველა მახასიათებელს (ტიპს, ადგილმდებარეობას, წარმადობას და ა.შ.) და ამ პროექტის განსახორციელებლად ცდილობს სახელმწიფოს თანხმობის მოპოვებას. ორივე შემთხვევაში, სახელმწიფოს (მთავრობის) საბოლოო გადაწყვეტილება პროექტზე - თანხმობა პროექტის განხორციელებაზე - ყალიბდება მემორანდუმის სახით.

სქემაში მოცემულ გადაწყვეტილების მიღების პროცედურასთან დაკავშირებით, აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ:

- ინტერესთა გამოხატვის ეტაპზე (სამინისტროს განცხადებაში) უკვე დადგენილია ასაშენებელი ელექტროსადგურის სავარაუდო განთავსების ადგილი, სავარაუდო სქემა და ძირითადი ტექნიკური პარამეტრები; ასევე, ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში მიღების ვადა.
- მთავრობის დადგენილების თანახმად, მემორანდუმი მხარეთა შორის თანამშრომლობის შეთანხმებაა<sup>7</sup>, რომელიც სხვა პირობებთან ერთად, განსაზღვრავს მშენებლობის დაწყებისა და დასრულების ვადას, ასევე, ვადების დარღვევით გამომწვეულ საურავებს. მემორანდუმში, ზემოთ მოყვანილი მთავრობის დადგენილების თანახმად, გამოიყოფა წინასამშენებლო ფაზისა და სამშენებლო ფაზის ვალდებულებები. წინასამშენებლო ფაზის ვალდებულებებია:
  - „პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანალიზის დასრულება“ (როგორც ჩანს, იგულისხმება (თუმცა, ეს არსად წერია), რომ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანალიზი როდესაც უკვე დაწყებულია და პროექტის განხორციელებით დაინტერესებულმა პირმა ის უნდა დაასრულოს);
  - „პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება“
- მინისტრის ბრძანებაში მემორანდუმის ეს ფაზები ნათლად არაა გამოყოფილი, თუმცა აქაც (გადაწყვეტილების მიღების მეორე პროცედურაში) ჩანს, რომ მემორანდუმით აღებულ ვალდებულებებში ხვდება „ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ჩატარება“ და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება“.
- ყურადსაღებია, რომ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ გადაწყვეტილების მიღების პირველ პროცედურაში, პროცედურა იწყება უკვე მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებით - სამინისტრო თავის ვებ-გვერდზე აქვეყნებს საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხას. რა ხდება ამ ნუსხის გამოქვეყნებამდე? როგორ მიიღება გადაწყვეტილება ელექტროსადგურის ნუსხაში ჩართვის შესახებ? - უცნობია.

<sup>7</sup> მინისტრის ბრძანებაში მემორანდუმი მოიხსენიება შემდეგნაირად: „მემორანდუმი (ხელშეკრულება/შეთანხმება)“

სქემა #1. გადაწყვეტილების მიღების პროცედურები ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის განხორციელებაზე.



ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების ზემოთ აღწერილი პროცედურები უამრავ კითხვას აჩენს, ვინაიდან ისინი არ არის დეტალიზებული არც მთავრობის დადგენილებაში და არც მინისტრის ბრძანებაში. ამ კვლევისთვის კი, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არც პირველი და არც მეორე პროცედურა არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების რომელიმე ფაზაზე საზოგადოების რაიმე ფორმით მონაწილეობის შესაძლებლობას. ასეთ ვალდებულებას არცერთი აქტი არ ადგენს.

## დასკვნა და რეკომენდაციები

ამგვარად, როგორც პირველი თავიდან ჩანს, ახალამოქმედებულმა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსმა მნიშვნელოვნად შეცვალა გარემოსდაცვითი უწყების მიერ გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე (მათ შორის, ელექტროსადგურების) პროექტების განხორციელებაზე გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღების და ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები. ამავე დროს, მეორე თავიდან ნათელი ხდება, რომ ენერგეტიკის დარგზე პასუხისმგებელი უწყების გადანყვეტილება ელექტროსადგურის პროექტის განხორციელებაზე წინ უსწრებს გზმ-ს ჩატარებისა და გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღების პროცედურებს, რაც ძალზე პრობლემურია.

გზმ-ის კვლევა და გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემაზე მსჯელობა, ასევე, ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობა იწყება მაშინ, როდესაც სტრატეგიული გადანყვეტილება ელექტროსადგურის პროექტის განხორციელებაზე უკვე მიღებულია - მემორანდუმი პროექტის განხორციელებაზე დადებულია, ელექტროსადგურის ძირითადი პარამეტრები დადგენილია. ამდენად, საზოგადოება, გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობით, ვეღარ იქონიებს ზეგავლენას ენერგეტიკის დარგზე პასუხისმგებელ ორგანოსა და საქართველოს მთავრობის მიერ საწყისად მიღებულ გადანყვეტილებაზე.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, რომ გარემოსდაცვითი უწყების მიერ გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღების პროცედურა წინ უსწრებდეს ენერგეტიკის დარგზე პასუხისმგებელი უწყების (და მთავრობის) მიერ ენერგეტიკის პროექტზე გადანყვეტილების მიღების პროცესს.

გარდა ამისა, აუცილებელია, რომ საზოგადოებისთვის გაიხსნას თავად ენერგეტიკის დარგზე პასუხისმგებელი უწყების მიერ ენერგეტიკის პროექტებზე გადანყვეტილების მიღების პროცესები. აუცილებელია დადგინდეს ენერგეტიკის პროექტებზე გადანყვეტილების მიღების დეტალური, გამჭვირვალე პროცედურები; საზოგადოებას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ადრეული ეტაპებიდანვე გახდეს გადანყვეტილებების მიღების პროცესის მონაწილე.


კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსს აქვს ერთი უმნიშვნელოვანესი ნაკლოვანება, რომელიც გადაუდებლად საჭიროებს გამოსწორებას. მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემაზე გადანყვეტილება, სამივე ეტაპზე, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით მიიღება, კოდექსი უშვებს ამ გადანყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას, სამინისტროს ან საქმიანობის განმახორციელებლის ინიციატივით, ოღონდ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით; ანუ უშვებს საზოგადოების მონაწილეობით მიღებულ გადანყვეტილებებში, ცვლილების შეტანას, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ეს ნაკლოვანება უმოკლეს ვადაში უნდა გამოსწორდეს: საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით მიღებულ გადანყვეტილებებში, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილები შეტანილ უნდა იქნეს იმავე სახის ადმინისტრაციული წარმოების წესით, რაც საწყისად იყო გამოყენებული, ანუ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

საჯარო პოლიტიკის ნარკვევში განხილულია, შეცვალა, თუ არა 2017 წლის 1 ივნისის მიღებულმა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსმა ხელისუფლების ორგანოთა მიერ ენერგეტიკის, კერძოდ, ელექტროსადგურების მშენებლობის პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების წესები; კერძოდ, შეიცვალა, თუ არა და როგორ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები.

ავტორი: ქეთი გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა



დოკუმენტი გამოცემულია მწვანე ალტერნატივას პროექტის „ენერგეტიკისა და წიაღით სარგებლობის სექტორებში მმართველობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნას ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებათა ამსახველად.

**მწვანე ალტერნატივა**

თბილისი, 0179,  
ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.  
ტელ.: (995 32) 222 38 74  
[GREENALT@GREENALT.ORG](mailto:GREENALT@GREENALT.ORG)  
[WWW.GREENALT.ORG](http://WWW.GREENALT.ORG)